


ნ როგორ მოვიძიოთ რუსულებზე გვერდი და სასაქონო მასალები?

თუ კონკრეტული ვებ-გვერდი აღარ ფუნქციონირებს და ინფორმაციის გადასამოწმებლად ის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს, არსებობს საარქივო მასალების ძიების 3 რესურსი, რომელიც სასურველი მასალების მოძიებაში დაგეხმარებათ. ესენია: archive.org/web, archive.is, cachedview.com.

მაგალითი 2: არქივის გადამოწმება



2016 წლის 1 დეკემბერს ინტერნეტ-პორტალმა „საქართველო და მსოფლიომ“ გამოაქვეყნა მასალა, სადაც რუსულენოვან პორტალ «Свободная пресса» დაყრდნობით ნათქვამია, რომ ერაყში ამერიკელმა ჯარისკაცებმა ბაღდადის მუზეუმი გაძარცვეს. თავის მხრივ, «Свободная пресса» ეყრდნობოდა სტრინგერის საერთაშორისო გამოძიებების ბიუროს (Стрингерского бюро международных расследований) ექსპერტების მიერ მოპოვებულ მასალებს, თუმცა სტატიაში მითითებული ბმული, რომელსაც აღნიშნული ბიუროს ვებ-გვერდზე გადაყვავართ, არ ფუნქციონირებდა.

archive.org/web-ის საძიებო სისტემით ru.fbii.org-ის გადამოწმება საშუალებას იძლევა ვიპოვოთ უკანასკნელად დაარქივებული მასალა, ასევე ვებ-გვერდის კატეგორია ვინ ვართ ჩვენ (HTO Mbi?). აღნიშნულ კატეგორიაში ვკითხულობთ, რომ „სტრინგერის საერთაშორისო გამოძიებების ბიურო აერთიანებს დამოუკიდებელ ინტელექტუალებს, პოლიტოლოგებსა და ჟურნალისტებს – ყველას, ვისაც სურს ადამიანებამდე მიიტანოს სიმართლე დედამიწის ყოვლისშემძლე და ბნელი იმპერიის – ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ“. ორგანიზაციის მისიის განაცხადი წარმოადგენს გვაძლევს მის მიზნებსა და მიკერძოებაზე.

წყარო:
მითიას დემეტრი